



# „საქართველოში უპრეცედენტო ფესტივალი უძღვება“



საქართველოს რეგიონების 16 და კიდევ ოზურგეთისა სახელმწიფო და ჩოხატაურის სახალხო თეატრები მონაწილეობდნენ ნოდარ ღუმბაძის სახელობის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალში. ეს ფესტივალი ნოდარ ღუმბაძის დაბადების 95-ე წელს და ოზურგეთის თეატრის დაარსების 155-ე წლისთავს მიეძღვნა.

ამ ფესტივალის მიზანია გამოაცხადოს კულტურული ცხოვრება რეგიონში, მხარი დაუჭიროს ქართული კლასიკის მწერლის ნოდარ ღუმბაძის სახელის უკვდავოებას და ხელი შეუწყოს თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციას გურიაში. ეს მიზანი მიღწეული იქნა ევრაზიის ასოციაციის 25 ქვეყნის თეატრი დგას რიგში მომდევნო ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად.

ნოდარ ღუმბაძე, ან ქართული მწერლობის სხვა პიესები – არის ჩვენი მოთხოვნა. როგორი წარმატებული

ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ ურუნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა. გთავაზობთ ამ ჩანაწერს:

– უპრეცედენტო ფესტივალი უძღვება საქართველოში, ევრაზიის თეატრების ასოციაციის (ETA), 7 ქვეყნის 8 თეატრი, დედაქალაქის და



# ქ ა რ თ ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10453) 24 ივლისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

## ჩინური კომპანია მოსახლეობას კვლავ ატყუებს



**ალიონი.** ქ. ოზურგეთის, თაყაიშვილის ქუჩის მოსახლეობის წარმომადგენლებს ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიის წარმომადგენლებს შეხვედნენ თუმცა მოსახლეობის მოთხოვნები კვლავ არ სრულდება.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიამ ქ. ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩის მოსახლეობა კვლავ მოატყუა. სამკვირიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, მათ მუშაობა გააგრძელეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გზების დეპარტამენტში გადაგზავნილ წერილს, სადაც მოსახლეობის მოთხოვნები იყო აღწერილი, შედეგი არ მოჰყოლია. გასულ კვირაში საფენმაველი ბილიკებზე ასფალტის საფარის დაგება ისე დაიწყო, რომ წყლის მიღების შეცვლის სამუშაოებს არ დაელოდნენ.

– ხელისუფლებამ არ დაგვიცვია. რა ეშველება ჩემს დაბ-

ზარულ სახლს, ან ეზოში შესასვლელი რა დღეშია. ვერ ხედავდი როგორი მდინარე მიედინებოდა ამ სამი დღის განმავლობაში ჩვენს ქუჩაზე? ვერ ეს პრობლემა მოეგვარებინათ – გვითხრა თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებმა **დარეჯან ჩხაიძემ.**

ამ პრობლემას აშუქებდნენ tV „გურია“, „გურია NEWS“, „ალიონი“. მოსახლეობის თხოვნით ადგილზე მივიდნენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი **დავით მდინარაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტები, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი **თამარ ოგანოვა** რამდენიმე დღის წინ თაყაიშვილის ქუჩაზე ჩინური კომპანიის „ნამუშევარს“ გაეცნო, მოსახლეობას შესვლა და მათგან მოისმინა მშენებლ-

## „ჩვენ ვართ ერთადერთი რეგიონი, სადაც სადაც ყველა მუნიციპალიტეტში პროფესიული ბანათლების პრობლემა გადაჭრილია“

ამ ინტერვიუს ჩაწერის იდეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან შეხვედრის შემდეგ გაჩნდა, როცა მან სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებულად აღნიშნა, ლანჩხუთში კოლეჯ „პორიზონტის“ ფილიალის შესახებ, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან 150 ლანჩხუთელი 7 სხვადასხვა სპეციალობას შეისწავლის. შევხდით ფილიალის მენეჯერს ელენე სამხარაძეს, დავათვალიერეთ კაბინეტ-სახელოსნოები და შემდეგ კი ქ. ოზურგეთში კოლეჯ „პორიზონტის“ დირექტორს **ნანა ჯოლიას** ვესაუბრეთ:

– კოლეჯი „პორიზონტი“ გურიის რეგიონში ძეგარე ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ამიტომაც თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების ძირითადი კერაა, საიდანაც ისინი სწავლას, ახალი უნარების შექმნას და და კარიერას იღებენ.

– რას გვეტყვით კოლეჯ „პორიზონტის“ ფილიალების შესახებ?

– უკვე მთელი წელია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვორაბერეთის სასწავლო ფართი ფუნქციონირებს, წელს, სექტემბრიდან კი კოლეჯ „პორიზონტის“ ლანჩხუთის სასწავლო ფართიც მიღებს მოსწავლეებს.

სულ, სამხრეთ-აღმოსავლეთში კოლეჯი „პორიზონტი“



ასორციელებს 27 ვიდეოკონფერენციას, რომელიც საგანმანათლებლო და 20-ზე მეტ მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამას. ჩვენ ვართ ერთადერთი რეგიონი, სადაც სადაც ყველა მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პრობლემა გადაჭრილია და მზად ვართ გავცეთ პასუხი კერძო სექტორისა და მოსახლეობის მოთხოვნებს.

ლანჩხუთის სასწავლო ფართში დაგეგმილია 7 პროგრამის განხორციელება. აქ წლებია მოსახლეობა, ბიზნესი, ელოდება სასწავლო პროცესის დაწყებას. ზრდასრულები და ახალგაზრდები – კვალიფიკაციის მიღებას. გვაკეთებთ მობილიზებას და 7 პროგრამის ავტორიზაციის პროცესი

გაყარეთ.

– რა ფაქტორები განსაზღვრავს ცალკეული პროგრამების დანერგვას?

– როცა პროგრამას იმატებ, უნდა გქონდეს შესაბამისი დასაბუთება – რატომ იმატებ, აზრი აქვს თუ არა ასეთი პროგრამის დანერგვას, რომლის ფარგლებში კურსდამთავრებული დასაბუთების ობიექტზე იქნება მიზნული. ეს დასაბუთება უნდა გქონდეს, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის მხრიდანაც.

დანერგვით პროგრამებიდან სამკერვალო საქმის პროგრამის გამოყოფა, რადგან საქართველოს ბაზარზე და კერძოს დასავლეთ საქართველოს ბაზარზე, სამკერვალო ფაბრიკები (ქართული

და უცხოური) მომრავლდა, მომზადებულ სამუშაო ძალას საჭიროებს.

ქ. ლანჩხუთში, სადაც კოლეჯის ფილიალი აშენდა, გვერდით იყო სამკერვალო ფაბრიკა (ახლანდელი ლოკაცია შეიცვალა), რომელიც წლებია ითხოვს კადრების მომზადებას.

ჩვენ პატარა რეგიონი ვართ და ვერ დაველოდებით ფაბრიკა-ქარხნების აგუუნებას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზანია, რომ არიან მაინც შეუწყოს ხელი, რომ მოსახლეობა ბედნიერი გახდეს. აღმართის ბედნიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი არის ის, რომ ის



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქციონი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
558 499100  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

## ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი სიხლემბს ელოდება



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი - **თეა წულუკიანი** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად მუზეუმის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს გაეცნო, იმსჯელეს მუზეუმის განვითარებაზე, რაც ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა.

მინისტრმა მუზეუმის განვითარების ხელშეწყობად მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა და აღნიშნა, რომ საქმიანი ურთიერთობის გააქტიურების შედეგად ოზურგეთის მუზეუმის მდიდარი ფონდის ნახვას მეტი ადამიანი შეძლებს როგორც დროებითი, ისე მუდმივი გამოფენების სახით დამთვალიერებლებს მალე შეეძლებათ იხილონ სრული გამოფენა იმ საგანძურისა, რაც მუზეუმის ფონდებშია დაცული.

## „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში, თანამედროვე მფარვეთთან უხვედრა გაიმართა



15 ივლისს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში, თანამედროვე მწერლებთან შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიება პროექტის ხელმძღვანელმა **ქეთევან ღუმბაძემ** გახსნა, სტუმრებს ავტორთა ჯგუფი: **გიორგი კაკაბაძე, გიზო თავაძე და მანონ ბულისკერია** წარუდგინა.

მწერლებმა მოწვეულ სტუმრებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს. აღნიშნული პროექტი 2015 წლიდან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, რომლის მიზანია თანამედროვე ლიტერატურის, წიგნისა და მწერლების პოპულარიზაცია

## ჩინური კომპანია მოსახლეობას კვლავ ატყუებს

ობისას წარმოქმნილი პრობლემები. მოსახლეობის მოთხოვნა, რომ გაეცნონ თუ რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი თაყაიშვილის ქუჩის რეაბილიტაციისათვის (დაფინანსების წყარო). ვინაა საპროექტო ორგანიზაცია და ობიექტის ჩაბარების ვადა, - უპასუხოდა.

მოსახლეობას ხლისუფლებიდან გამომდინარე ნაბიჯების გადაგმას და თანადგომას ითხოვს.

ჩინური კომპანიის შესახებ პრეტენზიები აქვს დედაბუნის მოსახლეობის ერთ ნაწილსაც.

- რ იყო საჭიროება და ვა აამაღლეს. არ შევკვალეს დედაბუნის ცემლისხიდის გადასახვევთან მდებარე მიღბიდი, რომელშიც მდინარე ნაბუარას ერთი შენაკადი გაედინება. ახლა რომ ძლიერი წვიმები იყო, აქ მცხოვრები სამი ოჯახის ეზო-კარმიდამო წყალში ცურავდა. რამდენადაც ვიცი ამ თემაზე სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა საკითხი ხელისუფლებაში დააყენა - გვითხრა დედაბუნელმა **გ.კ.მ.**

## სახალხო დღესასწაული „დვაბზუობა“ გაიმართა

ოზურგეთში, სოფელ დვაბზუს შალვა რადიანის სახელობის ენო-ოგრაფიულ მუზეუმში სოფლის სახალხო დღესასწაული „დვაბზუობა“ გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა და ადგილობრივებმა მიიღეს. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ტრადიციული რეწვის ოსტატთა ნამუშევრებისა და ადგილობრივი მწარმოების პროდუქციის გამოფენა. ასევე, მოწვეო საბავშვო გასართობი და შემეცნებითი სივრცეები.

სოფლის სახალხო დღესასწაულს მხარის რწმუნებული **გიორგი ურუშაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ათანდილ თალაკვაძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და საკრებულოს დეპუტატები დაესწრნენ.



## ურეკში აბრო-ტურისტული ფესტივალი გაიმართა



**ალიონი.** 17 ივლისს, დაბა ურეკში ასოციაცია „ჩაის გზის“ ორგანიზებით, აბრო-ტურისტული ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის წევრებმა.

„ასოციაცია ჩაის გზა“ მადლობას უხდის ფესტივალის პარტნიორებს მხარდაჭერისთვის: USAID / Georgia - ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა; ბახვი ჰესი (Bakhvi HPP) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

ასოციაციის მიზანია ადგილობრივი წარმოების და ტურისტული პოტენციალის შესაძლებლობების განვითარება

## გურიის მოჭადრაკეებმა ფოთის ტურნირზე თავი ისახელეს

ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის XVI საერთაშორისო ფესტივალზე ჭადრაკში, წარმატებით იასპარეხეს რეგიონის მოჭადრაკეებმა.

გურიის ორგანიზაციის ვიცე ჩემპიონმა **ლანა ლომაძემ** ღია „დ“ ტურნირში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ხოლო ვაჟთა შორის (64 მონაწილე) მე-4 საპრიზო ადგილი დაიკავა. მან პირადი პეტინგი + 68 ქულით გაიმჯობესა.

წარმატებით გამოვიდა „ც“ ტურნირში ლანჩხუთელი მოსწავლე **მინელი აფხაზა**. მან აქ პირველი ადგილი დაიკავა და პირადი რეიტინგი + 67 ქულით გაიმჯობესა.

განსაკუთრებულად წარმატებული იყო **ანა მეგრელაძის** გამოსვლა ამ ტურნირზე. ანა „დ“ ტურნირში ქალთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა; ვაჟთა შორის - მე-5 ადგილი, ხოლო 16 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი.

ანა მეგრელაძემ პირადი რეიტინგი +128 გაიმჯობესა. საერთაშორისო ტურნირი 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.









# „ნოდარ დუმბაძის ფესტივალზე მოხვედრა თეატრისთვის უნდა იყოს გამარჯვების ტოლფასი“



**ალიონი.** 15 ივლისს, საზეიმოდ დაიხურა ნოდარ დუმბაძის მეოთხე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. მოეწყო სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული თეატრალური კოლექტივების და ინდივიდუალური შემსრულებლების დაჯილდოება.

ფესტივალის გრან პრი სპექტაკლისათვის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი) გადაეცა თბილისის თავისუფალ თეატრს.

ფესტივალის საზეიმოდ დახურვის შემდეგ გაზეთი „ალიონი“ ესაუბრა ფიურის წევრს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს **ბუზაზ მემრამიძეს:**

– **ბატონო ბუზაზ, როგორია ნოდარ დუმბაძის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის შთაბეჭდილებები?**

– ფესტივალი ჩატარდა კარგად, საკმაოდ საინტერესოდ, რა ზედაც უდიდესი შრომა იქნა გაწეული როგორც ფესტივალის აღმინისტრაციის მხრიდან, ისე შემოქმედ-

ბითად. ფესტივალზე 27 სპექტაკლი იყო წარმოდგენილი, საიდანაც 15 სპექტაკლი იყო საპროგრამო, რომელიც ფიურის უნდა შეეფასებინა. 8 სპექტაკლი ჩამოვიდა უცხოეთიდან, რაც ფესტივალის ზრდაზე მიუთითებს.

ძალიან სასიამოვნოა, რომ რომ ხდება ქართული მწერლობის, ნოდარ დუმბაძის შემოქმედების პოპულარიზაცია, ფართოვდება საზღვრები. წინა ფესტივალთან შედარებით მეტი იყო სტუმართა რიცხვი, რაც ჩვენ გვახარებს. უკვე მომავალ ფესტივალზე ვფიქრობთ, რომ რაც შეიძლება მეტი ქართული ნაწარმოები იქნას წარმოდგენილი.

ეს ფესტივალი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მაღლა წევს თეატრალურ კულტურას, ზრდის ოზურგეთელ მსახივრებს, იხვეწება მსახივრების კემპინგება, მოთხოვნა იდება. სამომავლოდ ოზურგეთელ მსახივრებს ვერაფერს ვერ გამოაპარებ, ძალიან კარგად გაერკვევა სამ-

სახიობო ხელოვნებაში, რეჟისურაშიც და ტაშით დაჯილდოების ღირსეულს.

– **როგორია თქვენი აზრი ცალკეული სპექტაკლების შესახებ?**

– საკონკურსო სპექტაკლები ჩვენ გამოვყავით. ფიურის ჰყავდა ორი შემადგენლობა – ესენი იყვნენ საზღვარგარეთელი ფიურის წევრები და საქართველოს წარმომადგენლობა. ჩვენი და უცხოელი ფიურის წევრების აზრი არ დაემთხვა ერთმანეთს. ისინი მეტი იყვნენ რაოდენობრივად და როგორც ჩანს რაოდენობამ სძლია ხარისხს. ჩვენთვის მოულოდნელი იყო ზოგიერთ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოცხადება, მაგრამ ფიური ერთსულოვანი იყო გრან პრის მფლობელის დასახელებაში. ეს უდააო „სამანიშვილის დედინაცვალი“ – დამსახურებულად აიღო ფესტივალის მთავარი ჯილდო. ეს იყო ახლებური გაგება ამ პიესისა, რომელიც დაუახლოვდა თანამედროვეობას. თანამედროვე პრობლემები წამოვიდა ამ სპექტაკლში და მას ძალიან ორიგინალური სახე მისცა.

ასევე მე ძალიან მომეწონა უზბეკეთის, კასკადარინის მუსიკალურ-დრამატული თეატრის დადგმა – ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“, რომელიც ქართველმა რეჟისორმა კახა გოგიტიძემ ძალიან სხვანაირი ფორმით დადგა. გარდა იმისა, რომ იქ იყო ქართული ცეკვები და სიმღერები, რომლებიც პირველ რიგში უზბეკი მსახივრებისთვის იყო განკუთვნილი, ძალიან მომეწონა დადგმის ფინალი, რომელიც სრულიად ახლებური დამოკიდებულებითაა გაკეთებული. მაშინ, როცა იანგული კვდება და ბიჭები ზღვისპირას აღმოაჩნენ მის გვამს, მათი მეგობრობა ამით არ დასრულდება. ცოცხლებმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიკვეს და ჩაერთვნენ ომში

საკუთარი ქვეყნის დასაცავად. შემთხვევითი არ არის, რომ „გაუმარჯოს საქართველოს“, „გაუმარჯოს სოხუმს“, „ტრაგიკულად გრძელდება და იანგული საიქიანში ხდება მეგობრებს, რომლებმაც თავის გასწირვის იმ ქვეყნისთვის, რომლისთვისაც თავის დროზე თავად იანგულიმ გასწირა თავი. საბერძნეთისკენ მიმავალი გემიდან გადმოხტა ზღვაში და დაიღუპა, რათა საქართველოს მიწაში დამარხებულიყო.

– **ნომინატებზე უფრო ზომ არ დაკონკრეტდებით?**

– ნოდარ დუმბაძის სახელობის მონარდ მსახივრების სახელმწიფო პროფესიული თეატრის მსახივრებმა თამარ მამულაშვილმა დამსახურებულად გაიმარჯვა ნომინაციაში – საუკეთესო მსახიობი ქალი (თამარ დედოფალი). თუმცა სპექტაკლი „ავი მუსაოფი“ ვფიქრობ არ იყო დამთავრებული. აკლდა მას მხატვრული შეკვრა, მიზანსცენებზეც გეჭონდა შენიშვნები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს რთული სპექტაკლი ორიდრე თვეში დაიდგა და ბუნებრივია, ვერ მივიდა ყველაფერი ბოლომდე, როგორც ეს საჭირო იყო.

ვფიქრობ, საუკეთესო მამაკაცის ნომინაციაში გამარჯვებული არ უნდა გამოცვლინათ. არ ტოვებდა „ქეთი სოლოლაკში“, კოტე აფხაზის როლის შემსრულებელი საუკეთესო როლის შთაბეჭდილებას. ვფიქრობ, ეს უცხო ქვეყნების ფიურის წევრების გადაწყვეტილება იყო.

– **თქვენ ინტერვიუს დასაწყისში თქვით, ფესტივალი წინ მიდის...**

– კი, ნამდვილად წინ მიდის. პორიზონტიც და მასშტაბებიც ფართოვდება. ძალიან კარგია, რომ ფესტივალს თანდათან ემატება მონაწილე უცხო ქვეყნების რაოდენობა. ამ ფეს-

ტივალზე ესპანეთის თეატრმა **TRANVIA TETR** პროგრამის გარეშე წარმოადგინეს ქრისტიანა იანეს დადგმა „მოგზაურობა პანაკეაზე“. თუკი ისინი სამომავლოთ ქართულ ნაწარმოებს დადგამენ, ეს იქნება ძალიან კარგი ფესტივალისთვის.

ვაზახებმა ამ ფესტივალზე ქართულ ნაწარმოებზე შექმნილი ორი სპექტაკლი წარმოადგინეს: პასა ჯანიკაშვილის „ომობანა“ და ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“.

ვაზახეთის სახელმწიფო მუსიკალური დრამატული თეატრის დადგმა „კუკარაჩა“ სხვაგვარად იყო დადგმული, ვიდრე აქ განხორციელებულ დადგმებშია წარმოდგენილი. რა თქმა უნდა კუკარაჩას ჰყავს როლის შემსრულებელი, მაგრამ ამ ამბის თანამონაწილეები ბავშვები, პიონერები არიან...

გვერდს ვერ ავუვლით ზერსონის აკადემიურ მუსიკალური დრამატული თეატრს, რომელმაც სერგეი პავლიუკის საკუთარი სპექტაკლი „იუდა“ წარმოადგინა.

უფრო საინტერესო იქნება ფესტივალი, თუკი უფრო მაკცრად შეირჩევა სპექტაკლები ფესტივალისთვის, რადგან იყო გარკვეული რაოდენობა სპექტაკლების, რომლებიც სუსტი იყო ასეთი ფესტივალის დონისთვის. ამას სჭირდება დაფიქრება, რადგან ეს ფესტივალის პრესტიჟია და ყველა თეატრს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ამ ფესტივალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

ნოდარ დუმბაძის ფესტივალი უნდა იყოს ძალიან საამაყო, უნდა იყოს პრესტიჟული და აქ მოხვედრა კოლექტივისათვის უნდა იყოს გამარჯვების ტოლფასი.

## დასრულებული ფესტივალი და მოლოდინი, ფესტივალთან ფესტივალამდე - კვლავ ახალი სპექტაკლებისა



დასრულდა ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. რომლის დამფუძნებლები გახლავთ საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო, ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მერია. 10 დღის განმავლობაში, საკონკურსო თუ სტუმრის სტატუსით, 27 სპექტაკლი იყო წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა, თუ უცხო ქვეყნის 7 თეატრის (აზერბაიჯანი, ესპანეთი, ყაზახეთი 2, უკრაინა, პორტუგალია 2, უზბეკეთი) თეატრებიდან. ჯერ კიდევ ფესტივალის დასაწყისში, დამფუძნებლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის გათვალისწინებითაც,

ფესტივალი ორ წელში ერთხელ გაიმართება. შეხვედრას კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **თეა წულუკიანი** დაესწრო.

დასკვნით შეხვედრაზე, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდა, არაერთხელ გაუღერდა მადლიერების სიტყვები ფონდ „ქართუს“ მისამართით, რომელმაც თეატრის შენობის მაღალსტანდარტული შეკეთებითა და აღჭურვილობით, შესაძლებლობა მისცა როგორც თეატრების მესვეურთ და მსახიობებს, მაყურებელმდე მიეტანათ თავიანთი ჩანაფიქრი, ასევე მაყურებელს – კარგად დაენახა და აღეკვა ეს ყოველივე. იქვე არაერთხელ დასახელდა სპონსორთა უდიდესი ძალისხმევა ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

მაყურებელთა წინაშე დადგა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთა დასი, არაერთი სპექტაკლისა თუ როლის თანაავტორები. მაყურებელთა ოვაციებიც დამსახურებულად მიიღეს.

ფესტივალის მიმდინარეობასა და სპექტაკლების შესახებ, გაზეთმა „ალიონმა“ არაერთი მასალა თუ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ამჟამად გთავაზობთ მოკლე მიმოხილვებს რამდენიმე სპექტაკლიდან.

ისტორიული დრამა „ქეთი სოლაკში“, ნოდარ მაჭარაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით განხორციელდა და იგი

გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა.

ინსენირების ავტორი ნოდარ მაჭარაშვილი და ნიკოლოა ჰაინე-შველიძე გახლდათ. რეჟისორი, მხატვარი, სცენოგრაფი, კოსტიუმების მხატვარი ნიკოლოზ ჰაინე - შველიძე; შემოქმედებითმა კოლექტივმა და ჩვიდმეტი მსახიობით წარმოდგენილმა დასმა, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, კოტე აფხაზის და მისი თანამებრძოლების ცხოვრების უკანასკნელი დღე წარმოადგინეს წინარე ისტორიულ ფრაგმენტებთან ერთად. სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, გენერალი კოტე აფხაზი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი, 1923 წელს დახვრიტეს ჩეკისტებმა. სპექტაკლში, პერსონაჟთა სულიერი განცდებია წარმოდგენილი. მაგალითად ჩეკისტის წერეთ წოდებული „აღსარება“, „თქვენ ყველაფერს, კარგსაც და ცუდსაც ღმერთს აბრალებთ“, თუმცა აქვთ შეწყალების იმედიც. განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი სიკვდილმისჯილთა არაორდინალური ქცევები. იქნებ შემოქმედებით კოლექტივს უნდოდა ეჩვენებინა, რომ გმირშიც სხედან ადამიანები თავიანთი სისუსტეებით. როგორც ჩანს მოლოდინი სხვა იყო და სასცენო რეალობა სხვა.

არასაკონკურსო სპექტაკლი თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის წარმოდგენა „ბაკულას



ლორები“. წითელი დროების პერიოდი, სადაც დუმილი საუკეთესო საშუალებაა თავის გადასარჩენად. მსახიობთა არაჩვეულებრივი თამაში, ყოფითი თემები, რომელთა აქტუალობა არასოდეს ჩამოდის რეალური ცხოვრების სცენიდან. დასმენა, მლიქვნელობა, მექრთამეობა, ძლიერისა და სუსტის ბრძოლა, სხვაზე უპირატესად თავის წარმოჩენა, მონობა რუსი ჩინოვიკის წინაშე, სუფრა და სამშობლოსადმი მიძღვნილი სადღეგრძელოები... და... სწორედ ეს მედროვე პერსონაჟები, საოცარი პლასტიკით და გარდასახვით, მსახიობებს ცხოველთა სახელებს მიჰყავთ. სპექტაკლმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

თავისუფალი თეატრის სპექტაკლი „სამანიშვილის დედი(ს)ნაცვალი“,

რეჟისორი გოგი მარგველაშვილი, ინსცენირების ავტორი – ალექსანდრე ქოქრაშვილი. აქაც მსახიობთა საუკეთესო, შესრულება. კლდია-შვილის თემის ასევე აქტუალობა და დღევანდელთაზე მორგება. ტრაგიკომედია – ტექსტისგან განსხვავებული ტრაგიკული დასასრულით. აქ შემოქმედებითმა კოლექტივმა და მსახიობებმა შესძლეს ტექსტის იდეის შენარჩუნებაც და სახეცვლილებაც დროში;

ზურაბ ანტონოვის პიესის „მზის დაბნელება საქართველოში“ მიხედვით, შექმნილი მუსიკალური კომედია „შეყრა“. რეჟისორი დავით ლიოაშვილი. სპექტაკლში სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის მქონე



# დასრულებული ფესტივალი და მოლოდინი, ფესტივალი-დან ფესტივალამდე - კვლავ ახალი სპექტაკლებისა



ადამიანთა თანაცხოვრება წარმოდგენილი, როცა ყველა თავის ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობს თავის დამკვიდრებას და ძირითადად სანახაობითი ჩვენება, დატვირთული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებით, რითაც მუდმივი კონტაქტი მყარდება მაყურებელთან და მიუხე-

დავად ხანგრძლივი ჩვენებისა, მას არ აძლევს მოდუნების საშუალებას. თავდაპირველად, რუსი რეჟისორის პერსონაჟი შემოჰყავთ სცენაზე, რუსულ ენაზე მოსაუბრე, წინასწარ დაწერილ სცენარს სთავაზობს მონაწილე პერსონაჟებს. მერე თანდათან იტვირთება ემოციურად და თითქოს

მიზანსცენათა თანამონაწილეც ხდება. **ფესტივალის შიშური გადამწყვეტილებით, ნომინაციები შემდგომად გადამწყვეტილია:**

**საუკეთესო სცენოგრაფია – მანტანო ქორიძე.**

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ერლომ ახვლედიანი „ვანო და ნიკო“, რეჟისორი მარიამ სიხარულიძე;

**საუკეთესო მსახიობი (ქალი) – თამარ მამულაშვილი.**

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი. ნოდარ მაჭარაშვილი „ავი მუსაიფი“ რეჟისორი დიმიტრი ხეთისიაშვილი;

**საუკეთესო მსახიობი (კაცი) – ზვიად პაპაშვილი.**

გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. ნოდარ მაჭარაშვილი „ქეიფი სოლოლაკში“ რეჟისორი ნიკოლოზ ჰანიე - შველიძე

ქართული მწერლობის საუკეთესო სცენური ინტერპრეტაცია – **აზნაურაძის სახელმწიფო აკადემიური პროფესიული დრამატული თეატრი;**

გოდერძი ჩოხელი „წერილი ნაძვებს“, რეჟისორი ნიგარ გულაშვილი;

**ნოდარ დუმბაძის საუკეთესო სცენური ინტერპრეტაცია – საბიტ მუხამბეტოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო მუსიკალური დრამატული თეატრი.**

ნოდარ დუმბაძე „კუკარაჩა“, რეჟისორი ბარზუ აბდურაზაკოვი;

**საუკეთესო რეჟისურა – კუდუს კუშბეგოვის სახელობის იზმბურული მუსიკალური კომედიის სახელმწიფო აკადემიური თეატრი/ყაზახეთი**

ბასა ჯანკაშვილი „მოზანა“, რეჟისორი გაუნარ ადაი;

**საუკეთესო სპექტაკლი -**

**ბრან პრი –თაზისუფალი თეატრი;** დავით კლდიაშვილი

„სამანიშვილის დედი(ს)ნაცვალი“ რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი,

არ შეიძლება არ აღინიშნოს, ამ ლამაზი ღონისძიების მალალორგანიზებულ ჩატარებაში, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, **ვასილ ჩიგოვიძის** უდიდესი დამსახურება. თითოეულ სპექტაკლს, ბოლოში ლამაზი შტრიხად მიჰყვებოდა ვასილ ჩიგოვიძისა და თეატრის დირექტორის **ზაზა ჯინჭარაძის** ტანდემი, კოლორიტული, საინტერესო სავესტუარო ლამაზი შურჯინით; თეატრის ყველა მესვეურის უდიდესი შრომა სტუმართა ღირსეულად დასახვედრად.

**P.S** სიახლაც გააჟღერა ვასილ ჩიგოვიძემ. აღნიშნა, რომ ბრავის თეატრის ხელმძღვანელი ლუი მაღვირა, მომდევნო წლის დასაწყისში, ჩვენს თეატრში იწყებს არისტოფანეს „ფორინელის“ დადგმას.

**ნიკო ნიკოლაიშვილი**

## კიტა აბაშიძე



„მატიანეს“ კალენდრით 1900 თებერვლის დასაწყისში „აგონიაში“ იბეჭდება კიტა აბაშიძის მიმოხილვა „1899 წლის ქართული სიტყვათმცოდნეობის“ რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ილია ჭავჭავაძესა და ახალ თაობაზე. – სანტერესო წერილია, აი, ისეთი, დაწერილი ლამის ორი ასწლეულის შემდეგაც რომ თავს წაგაკითხვებს, მერე რა რომ, რამდენიმე მოსაზრება საუკეთესოდ თუ მოგეჩვენება...

„კაცმა სიტყვას მიუღოს ვერაძეში დღევანდელი ლიტერატურა „წიგნაკრებების“ ბაზრად არის გამხდარი და ლიტერატურა მის მკვიდრად, რომ ხალხს ზრდიდეს, ხალხს პრეზენს და მისი ბინ ბურის ინსტიტუტების ყურ-მოჭრულ მონად ხდება, იქნებ მეტი ჯიბა დაეცინებოდა და ვიბეჭდი ვაიბეჭდი, ეს იქ ასეა, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში რა არის სასარბილო, ან გამოარჩენი ვიბისათვის, რომ ამ სისტემამ აქც დაიბინა. მართალია, ჩვენს ხალხს არა სხვაზე ნაკლებად უყვარს ჭორები, არა სხვაზე ნაკლებად არის ხოლმე გატაცებული სხვა-და-სხვა ინტრიგით, მაგრამ ყოველივე მისი სურვილი და მისწრაფება მინც არა არის მის ვინების სიზარმაცესთან შედარებით. კითხვა-წერის სიძულვილი ცხნებულ ლუარსაბ თათქარაძის საუკუნო საშვილიშვილოდ უანდრებდა ჩვენ შეძლებულ წოდებისათვის, ხოლო ვისაც არა გააჩნია-რა, ის უფრო კითხვობის ვითომ, მაგრამ ეს მათი კითხვა მინც ვერ ჰკვებავს ყურნალისა და გახეთის თანამშრომლებს. მამ ვის წინ თამაშობენ პამულობას ეს ჩვენი მწერ-

ლები, ვის უბეჭ თვალებსა და რა ანგარიშით რევენან მწერლობას“.

კიდევ ერთიც და...

„ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობას კი უფრო განვიხარება ეტყობა, თუქცა, მართალია, ძველის მსგავსი ახალი აღარ გვიჩნდება. თუ ნიკო ბარათაშვილსა და ვრ ორბელიანს, ალ. ჭავჭავაძეს, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი დარჩა მეტყვიდრედ, ამათი მეტყვიდრე ჩვენს ლიტერატურაში აღარ ვიცით ვინ იტყვის მას, რომ ჩვენ არ ვცვანდეს ნიჭიერი და გრძობიერი მწერლები, მაგრამ იმას კი ვერავინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ჩვენს ლიტერატურაში ბადალი მეტყვიდრე რჩებიდეთ. საიმოვნებით ვკითხვობ ხოლმე ბნ არავისპირელის და მისი სკოლის მწერლების ეტიულებს, ბნ კლდიაშვილის მოთხრობებს, მაგრამ ვერც პირველს მოვატყვებ, რომ ვაზბევი უფრო დიდი ნიჭის პატრონი არ იყოს და ვერც მეორეს ვეტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის მკაცრი სატირა არ მერჩქივოს მის ნაზსა და გრძობიერს ირონიას. საიმოვნებით ვკითხვობთ ხოლმე თ. გრ. აბაშიძის, ცახელიას და ევლიშვილის ლექსს, მაგრამ უნდა ვითხრათ მართალი, თ. აკაკი წერეთლის ლექსების წაკითხვის შემდეგ, მათ პოეზიას ჩრდილი ეფენება. ეს ასეა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ჩვენი ლიტერატურა მოძრაობს და ეს მოძრაობა გააიცილებს და მკვდრებით აღდგომისაკენ არის მიმართული“.

თქვენი არ ვიცი და მე რამდენიმე კითხვა დამეხდა ბოლო აბაშიძის კითხვისას და აქვე უნდა გავაზნებო: ნეტა რას დაწერდა ცხნებულ კიტა აბაშიძე თანამედროვე ქართულ პროზაზე? ვის გამოარჩევდა და ვის არ გამოარჩევდა ჩემგან გამოარჩეულთაგან?

არ ვიცი!  
რაც ვიცი, ისაა რომ, „მატიანის“ კალენდრით 1900 3 მაის. იქ „კიტა აბაშიძე გახეთ „აგონიაში“ აქვეყნებს წერილს „პოლემიკა „ეკლის“ თანამშრომლებთან ან. ფურცელაძის წერილის გამო“, რომელშიც განმარტავს, რატომ მოითხოვენ ნიუ ფორდანი და მისი მომხრეები „ასალ-მოსულის“ მიერ თავისი ფსევდონიმის გახსნას. სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ „ამ ადამიანების ერთადერთი იარაღი ჭორების მოგონება და თუ გაიგებენ, ვინ არის მათი მამხილებელი, ეკიდინებათ, ვის წინააღმდეგ აპო-

ქვლენ ეს იარაღი“.

ამ და კიდევ რამდენიმე წერილზე მე აღარ ვისაუბრებ...

არეგონით სასაუბრო არაა და იმიტომ...

არის და თანაც რამდენი და მინც... მე ასე მინდა და ის რაც ახლა მინდა არა მგონი ვინმეს ან ხელს უშლიდეს ან ნერვებს...

ასე რომ, მოდით ილიასა და კიტა აბაშიძის ურთიერთობის საკითხებზე საუბარი აქ დავასრულოთ.

დღეს „ღონ-ჟუანი“ გავეციფურულე...

ბაირონის „ღონ ჟუანი“ არა... პუშკინის...

ნათარგმნი თავად მიხეილ თუმანიშვილისაგან...

იქნებ წინაპრის ან უბრალოდ მოგვარის, დიდი რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილისა...

დიდი მწერლისაც მე თუ მკითხავ...

თეატრიდან წასვლაზე ისე უნდა დაწერო, როგორ ბატონმა მიხეილმა დაწერა...

საერთოდ წასვლაზეც ასე უნდა წერდეს კაცი...

ცოტა არ იყოს როულად, მაგრამ მინც გასაგებად...

„ღონ-ჟუანი“ სრულად არ გამოციფრულდება...

არა, კი არ დამეზარა... უბრალოდ გიორგი თუმანიშვილის შედგენილი ალმანახის მეორე ნომერში არ იყო მეტი და კითხვის (აბა, რა მექნა?) დასმა რაღა საჭიროა არ დღის და არც ვაპირებ, სულ სხვა რამისთვის გადავუხვევ, ასე უადგილოდ...

ნათარგმნს წინათქმაც აქვს, გიორგი თუმანიშვილისეული „აქ ვაძღვეთ ალაგს ორ უმთავრესს სცენას პუშკინის „ღონ-ჟუანისას“ („Каменный гость“), რომელსაც ჩვენ ვოვლით, ბელისკის აზრის თანახმად, პუშკინის „უკეთესად ხელოვნურ თხზულებით. არ ვუკამბეთ მკითხველებს პირველ გადათარგმნულ სცენებს, რადგანაც იმას თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ აქ დაბეჭდილ ნაწილთან“...

გ.თ.

„კომანდორის ძეგლი.“

ღონ-ჟუანი (ბერათ ჩაცმული)

სულ კარგა მოდის: შემომავალ რა ანაზღვეულ

მე ღონ-კარლოსი, მზგავსად ბერის განდგომილია...“

